საკონკურსო განცხადება

მცხეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს- სოფ. გალავანში სპორტული დარბაზის მიმდებარე ტერიტორიის ასფალტის საფარით მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას კონკურსანტი პირის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს:

კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

1. განმარტებითი ბარათი;
2. ტოპოგადაღება;
3. სიტუაციური რუკა 1:2000 მასშტაბი
4. საპროექტო დოკუმენტაცია (4 ეგზემპლიარი + ელექტროვერსია);
5. მოცულობათა უწყისი;
6. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის კონკურსანტი პირი იხდის საფასურს -50 ლარს შემდეგ ანგარიშზე:

ს.ს ბანკ „რესპუბლიკის“ ცენტრალური ფილიალი

ბანკის კოდი: 220101757

მიმღები: ს.ს.ი.პ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

მიმღების ანგარიში №10591718543

საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

1. გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
2. შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.
3. კონკურსის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.
4. საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

ზემოაღნიშნული მონაცემების დარღვევით გაცემული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში კონკურსანტი პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

საკონკურსო წინადადების წარდგენის ვადებია გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღე, ხოლო წინადადების მიღებიდან 7 სამუშაო დღეში უნდა წარმოადგინონ „წინა ესკიზური პროექტები“, საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საკონკურსო წინანადების ფასი, საბოლოოდ საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ეგზემპლარად და პლიუს ელექტრონული ვერსია, ხოლო გამარჯვებულმა კონკურსანტმა ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს დასრულებული პროექტი.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების სავარაუდო ღირებულებაა 1 000 (ერთი ათასი) ლარი, ხოლო სამშენებლო სამუშაოების ღირებულებაა 50 000 (ორმოცდათი ათასი) ლარი.

საკონკუსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს ზემოთმითითებულ ყველა პირობას, შესაბამისი დოკუმენტი არ განიხილება.

მის: მცხეთის მუნიციპალიტეტი, ქ. მცხეთა დ. აღმაშენებლის ქ. №73

ტელ: 51-26-96